

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

30. 09. 2016 წელი

1 ეგზ.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის პროგრამა „განათლების, კულტურის, სასპორტო და დასვენების ობიექტების რეაბილიტაცია“

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N51/36

2015 წლის 1 იანვარი - 2015 წლის 31 დეკემბერი

ს ა რ ზ ე ვ ი

1. შემოკლებანი	3
2. შემაჯამებელი მიმოხილვა	3
3. შესავალი.....	4
4. ძირითადი ტექსტი.....	5
4. შემაჯამებელი დასკვნა	11
5. რეკომენდაცია	11
6. აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	12

1. შემოკლებანი

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია - მერია.

2. შემაჯამებელი მიმოხილვა

- ქ. ბათუმში, ბარცხანის დასახლებაში, ბენზინგასამართი სადგურის „სოკარის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, დიდი ზომის სპორტული მოედნის მოწყობითი სამუშაოების შესყიდვის შესახებ აუდიტის პერიოდში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ვერ დასტურდება სატენდერო მოთხოვნებთან შესრულებული სამუშაოების შესაბამისობის მდგომარეობა. აღნიშნულთან დაკავშირებით უნდა გაძლიერდეს შიდა კონტროლის მექანიზმები, რაც მიწოდებული საქონლის ან/და შესრულებული სამუშაოს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობას უზრუნველყოფს; გვ. 5
- ქ. ბათუმში, ვაჟა-ფშაველასა და ბესიკის ქუჩების კვეთაში, მინი სპორტული მოედნის მოწყობითი სამუშაოების შესყიდვისას, პრეტენდენტთა სატენდერო წინადადებასთან მიმართებით ფიქსირდება არაერთგვაროვანი მიდგომის ფაქტი. პრეტენდენტების შერჩევისა და შეფასების პროცედურებთან დაკავშირებით, გაძლიერდეს შიდა კონტროლის მექანიზმები, რაც ჯანსაღი კონკურენციის განვითარებისა და საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის ერთ-ერთი პირობაა, ამასთან აღმოფხვრის პრეტენდენტებთან არაერთგვაროვანი მიდგომის და ხელოვნური შეზღუდვის შესაძლო რისკებს; გვ. 6
- „განათლების, კულტურის, სასპორტო და დასვენების ობიექტების რეაბილიტაციის“ პროგრამის ფარგლებში, მერიის მიერ შექმნილი კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს შესრულებულ სამუშაოთა აქტების(ფორმა N2) რეალობას და შესაბამისად ნაკლებად ეფექტურია საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად ხარჯვის უზრუნველყოფის კუთხით. შემუშავდეს და დაინერგოს ისეთი შიდა კონტროლის სისტემა, რაც რეალურად დაადგენს შესრულებულ სამუშაოთა აქტების(ფორმა N2) რეალობას და შესაბამისად განაპირობებს საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად ხარჯვას; გვ. 8

- „განათლების, კულტურის, სასპორტო და დასვენების ობიექტების რეაბილიტაციის“ პროგრამის ფარგლებში გაფორმებული რიგი ხელშეკრულებების შესრულების შესახებ, არასრულყოფილი საექსპერტო დასკვნების წარმოდგენის პირობებში, შემსყიდველის მიერ მიმწოდებელზე გადახდილია 852653 ლარი. შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების დანერგვის გზით, მიმწოდებლებთან ანგარიშსწორება განხორციელდეს ხელშეკრულების მოთხოვნების სრული დაცვით. გვ. 9

3. შესავალი

3.1 აუდიტის შესწავლის საგნის აღწერა

განათლების, კულტურის, სასპორტო და დასვენების ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამის მიზანია ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა და კაპიტალური რემონტი, პატარებისთვის გონებრივი და ზნეობრივი განვითარების მიზნით საბავშვო ბაღებში ნორმალური პირობების უზრუნველყოფა, ბავშვების ჯანმრთელობაზე ზრუნვა და სწორი ფიზიკური განვითარება; სასპორტო და დასვენების ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამყარება და სრულყოფა; სავარჯიშო - სანახაობრივი და სასწავლო-სავარჯიშო ობიექტების შექმნა, ფიზიკურად ძლიერი და ჯანმრთელი მოზარდი თაობის აღსაზღდელად; ადგილობრივი დონის სასპორტო და დასვენების ობიექტების მშენებლობა და რეკონსტრუქცია, ყველა კატეგორიის მოსახლეობის სპორტით დაკავების მიზნით.

3.2 აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბს წარმოადგენს, „განათლების, კულტურის, სასპორტო და დასვენების ობიექტების რეაბილიტაციის“ პროგრამის ფარგლებში, მერიის მიერ 2015 წელს განხორციელებული შემდეგი საქმიანობა:

კოდი	პროგრამების დასახელება	დაზუსტებული ბიუჯეტი	საკასო შესრულება	სხვაობა	შესრულების პროცენტი
0304	განათლების, კულტურის, სასპორტო და დასვენების ობიექტების რეაბილიტაცია	9040,2	8930,0	110,2	98,8
030401	საბავშვო ბაღების შენობების რეაბილიტაცია	3808,3	3723,0	85,3	97,8
030402	სასპორტო და დასვენების ობიექტების რეაბილიტაცია	5231,9	5206,9	25,0	99,5

ცხრილი 3.2. „განათლების, კულტურის, სასპორტო და დასვენების ობიექტების რეაბილიტაციის“ 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ (ათასი ლარი).

4. ძირითადი ტექსტი

4.1 ქ. ბათუმში, ბარცხანის დასახლებაში, ბენზინგასამართი სადგურის „სოკარის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, დიდი ზომის სპორტული მოედნის მოწყობითი სამუშაოების შესყიდვის შესახებ

კრიტერიუმი: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მოთხოვნების შესაბამისად, სატენდერო კომისია მსჯელობს შეესაბამება თუ არა პრეტენდენტის სატენდერო წინადადება, სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკურ, სპეციფიკურ და სხვა სახის მოთხოვნებს. იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო მოთხოვნებს, ხდება პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია. ხელშეკრულება იდება სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული პირობების გათვალისწინებით და მისი შესრულების დადასტურება ხდება მიწოდებული საქონლის, სამუშაოს ან/და მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენით¹.

გამოვლენილი გარემოება: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერიის მიერ 2015 წლის 27 აპრილს გამოცხდებულ ელექტრონულ ტენდერში² - ქ. ბათუმში, ბარცხანის დასახლებაში, ბენზინგასამართი სადგურის „სოკარის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, დიდი ზომის სპორტული მოედნის მოწყობითი სამუშაოების შესყიდვის შესახებ, გამარჯვებულად დასახელდა შპს „გლობალ სტანდარტმშენი“, რომელთანაც 2015 წლის 12 ივნისს გაფორმდა ხელშეკრულება 178999 ლარის ღირებულებით.

სატენდერო განცხადების ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად, მოედნის ხელოვნური საფარის შესახებ წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო მწარმოებელი კომპანიის მიერ გაცემული ტექნიკური პასპორტი ან სერტიფიკატი საქონლის მახასიათებლების შესახებ. ამასთან, მიმწოდებელი ვალდებული იყო ანგარიშსწორებამდე, თითოეულ ეტაპზე, საკუთარი სახსრებით უზრუნველყო სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნის წარმოდგენა ყველა შესრულებული

¹ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-12 მუხლის მე-4, მე-19 მუხლის პირველი და 22-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები.

² SPA 150012303

სამუშაოს შესაბამისობაზე, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ პირობებთან.

შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ ატვირთული დოკუმენტაციით, სატენდერო მოთხოვნით განსაზღვრული მოედნის ხელოვნური საფარის ტექნიკური მახასიათებლები ვერ დასტურდება. კერძოდ, არ არის წარმოდგენილი მოედნის ხელოვნური საფარის ბუსუსების ჭრილის და მთლიანი წონის პარამეტრები, თუმცა მიუხედავად აღნიშნულისა, პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია საკმარისად ჩაითვალა და ის ცნობილი იქნა გამარჯვებულად. აღსანიშნავია, რომ ანგარიშსწორებისათვის წარმოდგენილ ექსპერტიზის დასკვნებშიც, სატენდერო პირობის მიუხედავად, არ არის მოცემული ინფორმაცია ხელოვნური საფარის ტექნიკური მახასიათებლების, სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ³.

დასკვნა

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ვერ დასტურდება სატენდერო მოთხოვნებთან შესრულებული სამუშაოების შესაბამისობის მდგომარეობა.

რეკომენდაცია

ქალაქ ბათუმის მერიამ, სატენდერო წინადადების განხილვისას, გააძლიეროს შიდა კონტროლის მექანიზმები პრეტენდენტების წინადადებების, სატენდერო მოთხოვნებთან შესაბამისობის დასაბუთებულობის თვალსაზრისით, რაც მიწოდებული საქონლის, სამუშაოსა თუ მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობას უზრუნველყოფს.

4.2. ქ. ბათუმში, ვაჟა-ფშაველასა და ბესიკის ქუჩების კვეთაში, მინი სპორტული მოედნის მოწყობითი სამუშაოების შესყიდვის შესახებ

კრიტერიუმი : „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, შემსყიდველი ორგანიზაციის საქმიანობა სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას უნდა ეფუძნებოდეს, საჯაროობის, შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიან და არადისკრიმინაციულ მიდგომის პრინციპებს⁴.

³ შეუსრულებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N128 ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-11 მუხლის მოთხოვნები.

⁴ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლი

გამოვლენილი გარემოება: თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერიის მიერ, 2015 წლის 9 აგვისტოს გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი⁵, ქ. ბათუმში, ვაჟა-ფშაველასა და ბესიკის ქუჩების კვეთაში, მინი სპორტული მოედნის მოწყობითი სამუშაოების შესყიდვის შესახებ. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 86512 ლარით განისაზღვრა და ითვალისწინებდა სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისი ხელოვნურსაფარიანი მოედნის მოწყობას.

შესყიდვაში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა, რომელთაგან შპს „საფეხბურთო კლუბი ერთობა“ დისკვალიფიცირებული იქნა. დისკვალიფიკაციას საფუძვლად დაედო სატენდერო დოკუმენტაციის 1.2.4 (სამუშაოთა შესრულების წესი), 1.2.5 (გამოყენებული მასალები), 1.2.6 (სამუშაოთა ადგილის მომზადება, გარემოს დაცვა) პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესახებ დოკუმენტაციის წარმოდგენილობა და ხელოვნური საფარის ტექნიკური მონაცემების, სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შეუსაბამობა. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-12 მუხლის მე-8 პუნქტისა და მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ, სახელმწიფო შესყიდვების სისტემის შესაბამის მოდულში არ არის ატვირთული შეტყობინება, პრეტენდენტის მიერ სატენდერო წინადადების დაზუსტების მოთხოვნის შესახებ.

აღნიშნული ტენდერის მეორე პრეტენდენტის - შპს „დოკასპორტის“ მიერ, ხელოვნური საფარის მახასიათებლების შესახებ, სისტემაში ატვირთული პირველადი ინფორმაცია ზოგადი ხასიათისაა და არ პასუხობდა სატენდერო მოთხოვნებს. ამ შემთხვევაში, სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით, შპს „დოკასპორტს“ გაეგზავნა შეტყობინება⁶ დაზუსტებული დოკუმენტაციის წარმოდგენის მოთხოვნით, რის შემდეგაც სისტემაში ატვირთული იქნა ხელოვნური საფარის ტექნიკური პასპორტი. საპასპორტო მონაცემების შესაბამისად, მისაწოდებელი საქონელის ტექნიკური პარამეტრები სრულად არ შეესაბამებოდა სატენდერო მოთხოვნით განსაზღვრულ პარამეტრებს. კერძოდ, არ იყო მოცემული ინფორმაცია ხელოვნური საფარის ბუსუსების სიმკვრივისა და გამძლეობის, რულონის სიგანისა და მთლიანი წონის შესახებ, თუმცა მიუხედავად აღნიშნულისა, სატენდერო კომისიის მიერ ამ შემთხვევაში მიღებული გადაწყვეტილებით, შპს „დოკასპორტის“ სატენდერო წინადადება, სატენდერო მოთხოვნის შესაბამისად ჩაითვალა და მასთან 2015 წლის 1 სექტემბერს გაფორმდა

⁵ SPA 150020585

⁶ ქ. ბათუმის მერიის 2015 წლის 21 აგვისტოს N25/16241 წერილი.

ხელშეკრულება, რომლის ღირებულებაც 5783 ლარით მეტია დისკავლიფიცირებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადებაზე.

დასკვნა

ქალაქ ბათუმის მერიის სატენდერო კომისიის მიერ, ქ. ბათუმში, ვაჟა-ფშაველასა და ბესიკის ქუჩების კვეთაში, მინი სპორტული მოედნის მოწყობითი სამუშაოების შესყიდვაში მონაწილე პირებთან არაერთგვაროვანი მიდგომა, პრეტენდენტთა შესაძლო შეზღუდვაზე და კონკრეტული პრეტენდენტის გამარჯვების შესაძლო უპირატესობაზე მიუთითებს.

რეკომენდაცია

ქალაქ ბათუმის მერიის ხელმძღვანელობამ, პრეტენდენტების შერჩევისა და შეფასების პროცედურებთან დაკავშირებით, გააძლიეროს შიდა კონტროლის მექანიზმები, რაც ჯანსაღი კონკურენციის განვითარებისა და საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის ერთ-ერთი პირობაა. ამასთან, აღმოფხვრის პრეტენდენტებთან არაერთგვაროვანი მიდგომის და ხელოვნური შეზღუდვის შესაძლო რისკებს.

4.3. საბიუჯეტო სახსრების განკარგვის მდგომარეობა

4.3.1. კრიტერიუმი: ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ფუნქციონირებისათვის, დაწესებულების ხელმძღვანელები უზრუნველყოფენ შესაბამისი კონტროლის გარემოს ჩამოყალიბებას და დახვეწას, რამაც ხელი უნდა შეუწყოს საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურ, პროდუქტიულ და ეფექტურ განკარგვასთან დაკავშირებული რისკების ოპტიმალურ დონემდე შემცირებას⁷.

გამოვლენილი გარემოება: „განათლების, კულტურის, სასპორტო და დასვენების ობიექტების რეაბილიტაციის“ პროგრამის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად, მიმწოდებელი ვალდებული იყო ანგარიშსწორებამდე, თითოეულ ეტაპზე, საკუთარი სახსრებით წარმოედგინა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნა, ყველა შესრულებული სამუშაოს შესაბამისობაზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ პირობებთან. ამასთან, აღნიშნული ხელშეკრულების შესრულების ტექნიკური ზედამხედველობა, დაკისრებული ქონდათ ტენდერებში⁸ გამარჯვებულ პირებს, რომლებზედაც თავის მხრივ ზედამხედველობა ხორციელდებოდა მერიის

⁷ „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 და მე-13 მუხლი

⁸ SPA130011884, SPA140004450, SPA150002788

შესაბამისი სამსახურის სპეციალისტების მიერ. აუდიტის შედეგად დადგენილია, რომ საექსპერტოდ წარდგენილი შესრულებულ სამუშაოთა აქტები (ფორმა N2), რიგ შემთხვევებში არ არის დამოწმებული ტექნიკური ზედამხედველის მიერ და მათში დაფიქსირებულ პარამეტრებსა და სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ გაცემულ დასკვნას შორის ფიქსირდება მნიშვნელოვანი შეუსაბამობის ფაქტები.

N	ხელშეკრულება ნომერი და თარიღი	მიმწოდებელი	შესრულებულ სამუშაოთა ღირებულება (ფორმა N2)		ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულება (საექსპერტო დასკვნა)		სხვაობა
			თარიღი	თანხა	თარიღი	თანხა	
1	N132. 30.05.2014	შპს „მტმ“	28.01.2015	291922	06.03.2015	206835	85087
2	N132. 30.05.2014	შპს „მტმ“	15.04.2015	243117	01.06.2015	206491	36626
3	N138. 6.06.2014	შპს „კავკასუს ინვესტი“	15.10.2014	211936	12.11.2014	200919	11016
5	N67. 25.03.2015	შპს „ამაგი“	9.09.2015	175214	28.09.2015	169567	5646

ცხრილი 4.3.1. შესრულებულ სამუშაოთა აქტებში, სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ გამოვლენილი სხაობების შესახებ (ლარი)

დასკვნა

აღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ მერიის მიერ შექმნილი კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს შესრულებულ სამუშაოთა აქტების(ფორმა N2) რეალობას და შესაბამისად, ნაკლებად ეფექტურია საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად ხარჯვის უზრუნველყოფის კუთხით.

რეკომენდაცია

ქალაქ ბათუმის მერიამ, შეიმუშავოს და დანერგოს ისეთი შიდა კონტროლის სისტემა, რაც დაადგენს შესრულებულ სამუშაოთა აქტების(ფორმა N2) რეალობას და შესაბამისად განაპირობებს საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად ხარჯვას.

4.3.2. კრიტერიუმი: ქალაქ ბათუმის მერიის მიერ, ელექტრონული ტენდერის საშუალებით განხორციელებული ქ. ბათუმში მდებარე ბაღების შენობების სარეკონსტრუქციო და მინი სტადიონის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვების სპეციფიკური პირობების მე-8 მუხლის პირველი პუნქტით, მიმწოდებელი ვალდებული იყო ანგარიშსწორებამდე, საკუთარი სახსრებით წარმოედგინა სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დასკვნა, ყველა შესრულებული სამუშაოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ პირობებთან შესაბამისობის შესახებ.

გამოვლენილი გარემოება: ქვემოთ მოცემულ შემთხვევებში, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილია ექსპერტიზის დასკვნები, რითაც დადასტურებულია სამუშაოების

შესრულება, თუმცა მათში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია შესრულებული სამუშაოს შესაბამისობაზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ პირობებთან. შესაბამისად, ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 8.1 მუხლის მოთხოვნების შეუსრულებლობის პირობებში, შემსყიდველის მიერ მიმწოდებელზე გადახდილია 852653 ლარი.

დასკვნების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის სახით:

N	ობიექტი	მიმწოდებელი				სამუშაოს ღირებულება რომლებზედაც არ არის წარმოდგენილი სრული დასკვნა
		დასახელება	ხელშეკრულების ნომერი და თარიღი	ხელშეკრულების ღირებულება	ფაქტობრივი შესრულება	
1	მელიქიშვილის ქუჩაზე მდებარე N 17 საბავშვო ბაღის სარეკონსტრუქციო სამუშაოები	შპს „აისბერგი - XXI“	N49 10/03/2015	226111	220727	53 385
2	სამრეწველო უბანში მდებარე N23 საბავშვო ბაღის შენობის სარეკონსტრუქციო სამუშაოები	შპს „ამაგი“	N45 05/03/2015	265568	265476	265 476
3	სამრეწველო უბანში მდებარე N24 საბავშვო ბაღის შენობის სარეკონსტრუქციო სამუშაოები	შპს „ჯი-აი-თი 2007“	N48 09/03/2015	214400	203227	120 055
4	პუშკინის ქუჩაზე მდებარე N16 საბავშვო ბაღის შენობის სარეკონსტრუქციო სამუშაოები	შპს „ნ.მ 2007“	N55 12/03/2015	95407	95404	95 404
5	კახაბრის ქN1-თან არსებული მინი-სტადიონის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები	შპს „საფეხბურთო კლუბი ერთობა“	N03 05/01/2015	69004	65114	65 114
6	ქ. ბათუმში ბარცხანის დასახლებაში დიდი ზომის სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები	შპს „გლობალ სტანდარტმშენი“	N128. 6.12.2015	178999	173670	173670
7	ქ. ბათუმში, ვაჟა ფ შაველასა და ბესიკის ქუჩების კვეთაში მინი სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები	შპს „დოკასპორტი“	N199. 9.01.2015	83314	79549	79549
ჯამი				1132803	1103167	852653

ცხრილი 4.3.2. შესრულებულ სამუშაოებზე გაცემული საექსპერტო დასკვნების შესახებ (ლარი)

დასკვნა

აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, ვერ მივიღეთ სათანადო რწმუნება ზემოთ აღნიშნული სამუშაოების ღირებულების გადახდის კანონშესაბამისობაზე.

რეკომენდაცია

ქალაქ ბათუმის მერიამ, შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების დანერგვის გზით, მიმწოდებლებთან ანგარიშსწორება განახორციელოს ხელშეკრულების მოთხოვნების სრული დაცვით.

4. შემაჯამებელი დასკვნა

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის 2015 წლის პროგრამის – „განათლების, კულტურის, სასპორტო და დასვენების ობიექტების რეაბილიტაცია“, შესაბამისობის აუდიტის შედეგად გამოვლინდა სხვადასხვა სახის დარღვევა-ნაკლოვანებები.

სახელმწიფო შესყიდვების პროცესში

- ქ. ბათუმში, ბარცხანის დასახლებაში, ბენზინგასამართი სადგურის „სოკარის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, დიდი ზომის სპორტული მოედნის მოწყობითი სამუშაოების შესყიდვის შესახებ, აუდიტის პერიოდში წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, ვერ დასტურდება სატენდერო მოთხოვნებთან შესრულებული სამუშაოების შესაბამისობის მდგომარეობა;
- ქ. ბათუმში, ვაჟა-ფშაველასა და ბესიკის ქუჩების კვეთაში, მინი სპორტული მოედნის მოწყობითი სამუშაოების შესყიდვისას, პრეტენდენტთა სატენდერო წინადადებასთან მიმართებით, ფიქსირდება არაერთგვაროვანი მიდგომის ფაქტი.

მონიტორინგისა და ხელშეკრულების შესრულების პროცესში

- „განათლების, კულტურის, სასპორტო და დასვენების ობიექტების რეაბილიტაციის“ პროგრამის ფარგლებში, მერიის მიერ შექმნილი კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს შესრულებულ სამუშაოთა აქტების(ფორმა N2) რეალობას და შესაბამისად, ნაკლებად ეფექტურია საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად ხარჯვის უზრუნველყოფის კუთხით;
- „განათლების, კულტურის, სასპორტო და დასვენების ობიექტების რეაბილიტაციის“ პროგრამის ფარგლებში გაფორმებული რიგი ხელშეკრულებების შესრულების შესახებ არასრულყოფილი საექსპერტო დასკვნების წარმოდგენის პირობებში, შემსყიდველის მიერ მიმწოდებელზე გადახდილია 852653 ლარი.

5. რეკომენდაცია

ქ. ბათუმის მერიამ:

- სატენდერო წინადადების განხილვისას, გაამლიეროს შიდა კონტროლის მექანიზმები პრეტენდენტების წინადადებების, სატენდერო მოთხოვნებთან შესაბამისობის დასაბუთებულობის თვალსაზრისით, რაც მოწოდებული საქონლის, სამუშაოსა თუ

მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობას უზრუნველყოფს;

- პრეტენდენტების შერჩევისა და შეფასების პროცედურებთან დაკავშირებით, გააძლიეროს შიდა კონტროლის მექანიზმები რაც ჯანსაღი კონკურენციის განვითარებისა და საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის ერთ-ერთი პირობაა, ამასთან აღმოფხვრის პრეტენდენტებთან არაერთგვაროვანი მიდგომის და ხელოვნური შეზღუდვის შესაძლო რისკებს;
- შეიმუშავოს და დანერგოს ისეთი შიდა კონტროლის სისტემა, რაც დაადგენს შესრულებულ სამუშაოთა აქტების(ფორმა N2) რეალობას და შესაბამისად განაპირობებს საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად ხარჯვას;
- შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების დანერგვის გზით, მიმწოდებლებთან ანგარიშსწორება განახორციელოს ხელშეკრულების მოთხოვნების სრული დაცვით.

6. აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრები:

გოჩა შარაბიძე
/წამყვანი აუდიტორი/



ნადიმ ბოლქვაძე
/წამყვანი აუდიტორი/



ირაკლი ანანიძე
/უფროსი აუდიტორი/



ავთანდილ აბაშიძე
/აუდიტორ-ასისტენტი/



29/09/2016წ.